# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

## განკარგულება № 158

„ 8 " მაისი 2017 წ

ქ. თბილისი

**ქ.თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზირი, VII კვარტალი, კორპუსი №5ა-ზ მიმდებარედ, არსებული 639 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: №01.14.04.017.023) 40 კვ.მ. მიწის ნაკვეთის შპს „საოჯახოსთვის" (ს/კ: 425053700) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე**

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 122[1] მუხლის მე-6 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქ.თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზირი, VII კვარტალი, კორპუსი №5ა-ზ მიმდებარედ, არსებული 639 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: №01.14.04.017.023) 40 კვ.მ მიწის ნაკვეთის შპს „საოჯახოსთვის" (ს/კ: 425053700) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარდგენის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2017 წლის 19 აპრილის N14.09.273 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქ.თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზირი, VII კვარტალი, კორპუსი №5ა-ზ მიმდებარედ, არსებული 639 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: №01.14.04.017.023) 40 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით შპს „საოჯახოსთვის" (ს/კ: 425053700) ზემოაღნიშნული განკარგულების დანართით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად.

2. შეთანხმდეს მიწის ნაკვეთის საიჯარო ქირის წლიური საფასური - 4 300 (ოთხი ათას სამასი) ლარის ოდენობით.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6).,

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი